საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2017 წლის 27 დეკემბრის
დადგენილება №2692

„სტუ-ში აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა
და განაწილების ინსტრუქციაში“ ცვლილებების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიცვალოს „სტუ-ში აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქციის“ პირველი მუხლის მე-4 პუნქტი და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

   „4. აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სასწავლო კურსებში, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, საკონტაქტო საათების რეკომენდირებული რაოდენობა კრედიტების მიხედვით, შეიძლება იყოს:

   - 3-4 კრედიტი –2 საათი;
   - 5 კრედიტი – 2,5 ან 3 საათი;
   - 6-7 კრედიტი – 3,5 ან 4 საათი;
   - 8-9 კრედიტი – 4,5 საათი;
   - 10 კრედიტი – 5 საათი;
   - 11 კრედიტი – 5,5 საათი;
   - 12 კრედიტი – 6 საათი.“

2. „სტუ-ში აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქციის“ პირველი მუხლის მე-5 პუნქტი ამოღებული იქნეს.
3. წინამდებარე ცვლილებები ძალაში შევიდეს 2018-2019 სასწავლო წლიდან.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	ა. ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი	გ. სალუქვაძე